

შპს „თერმული წყლები“

**2022 წლის 31 დეკემბრით მომზადებული
ფინანსური ანგარიშგება**

შპს “თერმული წყლები”

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
ფინანსური მდგომარეობა	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	28247	25724	17731
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14300	17334	19117
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	5871	874	1177
მარაგები	666	422	630
სხვა	666	422	630
სულ მიმდინარე აქტივები	49084	44354	38655
სხვა არამატერიალური აქტივები	168	0	36
ძირითადი საშუალებები	1445012	1455856	95666
სხულ გრძელვადიანი აქტივები	1445180	1455856	95702
სულ აქტივები	1494264	1500210	134357
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	360	414	331
სავაჭრო ვალდებულებები	778	857	614
საგადასახადო ვალდებულებები	35840	33464	1435
სულ ვალდებულებები	36978	34735	2380
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	1473680	1473680	96000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-16630	-8479	35518
გადაფასების რეზერვი	236	274	459
სულ საკუთარი კაპიტალი	1457286	1465475	131977
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1494264	1500210	134357

შპს „თერმული წყლები“-ს დირექტორი

დემნა დადიანი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება		
საქმიანობის შედეგები	31.12.2022	31.12.2021
ნეტო ამონაგები	207246	172975
მომსახურების გაწევიდან	207246	172975
საერთო მოგება	207246	172975
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	1705
დასაქმებულთა ანაზღაურება	108163	103235
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	10820	17949
იჯარის ხარჯი	3992	4300
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	92421	93193
სულ საოპერაციო ხარჯები	215396	218677
საოპერაციო ზარალი	8150	43997
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-8150	-43997
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-8150	-43997
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-8150	-43997

შპს „თერმული წყლები“-ს დირექტორი

დემნა დადიანი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

	კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება				
	2022	საწესდებო კაპიტალი	სარეზერვო კაპიტალი	დაუფარავი ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
	ნაშთი პერიოდის დასაწყისში	1473680	274	-8479	1465475
+	ზრდა პერიოდის განმავლობაში			-8150	-8150
-	კლება პერიოდის განმავლობაში		39		39
	ნაშთი პერიოდის ბოლოს	1473680	236	-16629	1457286

შპს „თერმული წყლები“-ს დირექტორი

დემნა დადიანი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება		
ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2022	31/12/2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	2523	7993
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	2523	7993
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	25724	17731
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	28247	25724

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

1. ზოგადი ინფორმაცია

წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია შპს „თერმული წყლები“-ს (შემდგომში „კომპანია“) 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის.

კომპანია დაარსდა 2012 წლის 01 აპრილს. მისი სამართლებრივი ფორმაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია 404419214 და მისი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო. კომპანიის იურიდიული მსამართია: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ალ.ყაზბეგის გამზირი, №47 (მე-5 სართული)

შპს „თერმული წყლები“-ს ძირითადი საქმიანობაა გეოთერმული წყლის მოპოვება-რეალიზაცია. ეკონომიკური საქმიანობის (NACE) კოდი 35300. შპს "თერმულ წყლებზე" გაცემული №10002870 ლიცენზიის თანახმად გვაქვს შესაძლებლობა მოვიპოვოთ 3000 მ3 წყალი დღე-ღამეში.

ჩვენი ქაბურღილები მდებარეობს სოფ. ლისის მიმდებარედ. გეოთერმული წყლის ტრანსპორტირება ხორციელდება სპეციალური მილსადენებით, რომელთა საშუალებითაც ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონის გარკვეულ უბნებს ვაწვდით გეოთერმულ წყალს.

დამფუძნებელი პარტნიორი- სახელმწიფო 100%
კომპანიის დირექტორი: დემნა დადიანი პ/ნ 01026011787
საანგარიშო პერიოდში საზოგადოებას შვილობილი კომპანიები, რეგისტრირებული ფილიალები ან/და წარმომადგენლობები არ გააჩნია.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში არ ხორციელდება.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში “მსს ფასს”), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე.

კომპანია აცხადებს, რომ წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის დაშვებით, ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

საწარმოს საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს. ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კომპანიის საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ლარის სიზუსტით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადი ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები არის მომხმარებლებისაგან მისაღები თანხები წარმომოხილი გეოთერმული წყლის მიწოდების შედეგად. თუ სავაჭრო მოთხოვნის დაბრუნება მოსალოდნელია ერთ საანგარიშგებო პერიოდში ან უფრო ნაკლებში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი აქტივი, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდება გრძელვადიან აქტივებში.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულების თანხით. თვითღირებულება იანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს უშუალოდ დაკავშირებულ ხარჯებს და მომავალი ვალდებულებების სავარაუდო დღევანდელ ღირებულებას, ასევე შეძენის მიმდინარე ფასს.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და ექვემდებარება სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს აქტივის ჩამოწერას.

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად (ძირითადი კომპონენტები).

ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად წარმოშობილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებები გადაიხდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რათა გადამოწმდეს, ხომ არ არის აღიარებული ანაზღაურებად ღირებულებაზე მეტად. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი გამოყენებად ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის. როდესაც მიმდინარე ღირებულება გადააჭარბებს განსაზღვრულ ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების აღიარება ხდება შესაბამის პერიოდში და აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები ასახულია დაგროვილი ამორტიზაციით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების მუხლში ერთიანდება მომხმარებლებისთვის გადასახდელი თანხები წარმოშობილი მომსახურების გაწევის ან საქონლის მოწოდების შედეგად. თუ სავაჭრო ვალდებულების დაფარვა მოსალოდნელია ერთ საანგარიშგებო პერიოდში ან უფრო ნაკლებში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი ვალდებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდება გრძელვადიან ვალდებულებებში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული არსებული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება ეროვნულ ვალუტაში (ლარში) საანგარიშგებო პერიოდის ბოლო დღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა/ხარჯი აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში შესაბამისად.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის მიწოდებიდან ან/და მომსახურების გაწევიდან მაშინ აღიარდება, როდესაც კლიენტისთვის ხდება საქონლის/მომსახურების მიწოდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

3. ფული და ფულის ეკვივალენტები

	2022	2021
ნაღდი ფული სალაროში	0	0
ფული საბანკო ანგარიშებზე	28 246,80	25 724,25
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	28 246,80	25 724,25

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2022	2021
სავაჭრო დებიტორები	14 300,31	17 333,79
მომწოდებლებზე გადახდილი ავასები	5 350,00	350,00
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	19650,31	17683,79

5. მოთხოვნები გაცემული სესხებიდან

	2022	2021
იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები	0	0
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები	520,75	523,80
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	520,75	523,80

6. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2022	2021
საქონელი	0	0
სხვა მარაგები	665,94	422,20
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	665,94	422,20

7. ძირითადი საშუალებები

ცვეთა ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფს ერიცხება წრფივად, სასარგებლო მომსახურების ვადების მიხედვით

ჯგუფი	01.01.2022	შემოსვლა	გასვლა	წლიური ცვეთა	31.12.2022
შენობა-ნაგებობები	1455254,87	0	0	10791,32	1444495,48
მანქანა-დანადგარები	181,77	0	0	25,35	156,42
ოფისის აღჭურვილობა	419,39	0	0	59,38	360,01
სულ ძირითადი საშუალებები	1455856,03	0	0	10876,05	1445011,91

8. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში.

ჯგუფი	01.01. 2022	შემოსვლა	გასვლა	წლიური ცვეთა	31.12.2022
არამატერიალური აქტივი(საბუღალტრო პროგრამა)	0	182,2	0	14,09	168,11
სულ არამატერიალური აქტივები	0	182,2	0	14,09	168,11

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2022	2021
მოკლევადიანი ვალდებულებები	1 099,21	1 118,47
მიღებული ავანსები	38,20	152,57
საგადასახადო ვალდებულებები	35 839,68	33 464,27
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	36 977,09	34 735,31

10. მოკლევადიანი სესხები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები.

11. ამონაგები

	2022	2021
თერმული წყლის მიწოდებიდან მიღებული შემოსავალი	207 246,43	172 975,45
სულ ამონაგები	207 246,43	172 975,45

12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს კომპანიის ადმინისტრირებასთან უშუალოდ დაკავშირებულ ხარჯებს. მისი სტრუქტურა შემდეგია:	2022	2021
შრომის ანაზღაურება(ბრუტო)	108 163,31	103 235,70
დაზღვევა	350,00	350,00
საიჯარო გადასახადი	3 991,46	4 299,60
კომუნალური ხარჯები	733,31	730,90
ტრანსპორტირების ხარჯი	13 051,14	11 277,54
მიმდინარე რემონტი	8 606,43	4 695,72
გადასახადები	67 075,18	64 355,55
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	10 820,38	17 949,34
საპენსიო	928,11	889,00
სხვა ხარჯები	1 677,32	10 893,97
სულ კომერციული, საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	215 396,64	218 677,32

გადასახადები: მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის -52570, ქონების გადასახადი - 14505,18

სხვა ხარჯები: 1.ჩგდ- 804,75; 2. ტენდერის გამოცხადების საფასური- 150; 3. ბანკის საკომისიო- 369,08; 4.საკანცელარიო საქონელი- 91,8; 5. კოვოდ 19 (პირბაღე, სადეზინფექციო სითხე- 261,69